



სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის შემთხვევების გამოძიება ყოვნდება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2013-2015 წლებში
აღმოჩენილი დარღვევები

4 ივნისი 2015

თბილისი / Tbilisi

რუსთაველის გამზ. 26, III სართ. , 0108
ტელ.: +(995 32)292 14 03
ფაქსი: +(995 32) 292 02 51
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

26 Rustaveli Ave, III floor, 0108
Tel: +(995 32)292 14 03
Fax: +(995 32) 292 02 51
E-mail: info@transparency.ge

ბათუმი / Batumi

26 მაისის ქ. 36/ჯინჯარაძის 10, 6010
ტელ./ფაქსი: +(995 422) 29 44 88
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

36, 26 May Str./10 Jinchardze str. 6010
Tel./Fax: +(995 422) 29 44 88
E-mail: info@transparency.ge

ზუგდიდი / Zugdidi

ცოტნე დადიანის ქ. 3, 2100,
ტელ./ფაქსი: +(995 415) 22 37 20
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

3 Tsotne Dadiani Str., 2100
Tel./Fax: +(995 415) 22 37 20
E-mail: info@transparency.ge

ქუთაისი / Kutaisi

9 აპრილის ქ. 10, 4600
ტელ./ფაქსი: +(995 431) 29 26 54
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

10, 9 April Str, 4600
Tel./Fax: +(995 431) 29 26 54
E-mail: info@transparency.ge

I. შესავალი

კვლევაში აღწერილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013-2015 წლებში მომზადებული ის აუდიტის ანგარიშები, რომლებიც შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს და აუდიტის სამსახურმა შემდგომი რეაგირებისთვის გადააგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში. კვლევაში მოყვანილია გადაგზავნილი საქმეების სტატისტიკა და მათზე სამართალდამცავთა რეაგირება, ასევე, აღწერილია საინტერესო საქმეების შინაარსი.

ანგარიში მთლიანად ეფუძნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მოწოდებულ მასალებს, მათ შორის პროკურატურის რეაგირების ნაწილშიც, რადგან ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, პროკურატურამ გადაგზავნილ საქმეებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია არ მოგვანოდა, მათი პასუხი¹ შეიცავდა მხოლოდ მომართვების რაოდენობას, რომლებიც მათ მიიღეს აუდიტის სამსახურიდან.

¹ მთავარი პროკურატურის 2015 წლის 2 მაისის პასუხი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე:
<https://goo.gl/1AUcQI>

II. ძირითადი მიზნები

სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაგზავნილი აუდიტორული დასკვნები მოიცავს რამდენიმე ათეული საჯარო უწყების წინა წლების (ძირითადად 2006-2013 წლების) საქმიანობის აუდიტორულ შემოწმებებს, სადაც აუდიტის ანგარიშების მიხედვით, გამოვლენილია სერიოზული დარღვევები. ამის მიუხედავად, გადაგზავნილ მასალებზე პროკურატურის რეაგირება არის ძალიან პასიური - **ორი წლის განმავლობაში, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პასუხისმგებლობაში მიცემულია მხოლოდ ერთი პირი.**

უფრო კონკრეტულად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2013, 2014 წლებსა და 2015 წლის 10 მარტამდე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი 133 აუდიტის ანგარიში გადაუგზავნა სამართალდამცავ ორგანოებს, რომელთაგან უმრავლესობა - 123 ანგარიში - გადაგზავნილია პროკურატურაში (მთავარი პროკურატურა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა) დანარჩენი ათი ანგარიში კი - შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულ სააგენტოში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადაგზავნილ მასალებზე სამართალდამცავ ორგანოთა რეაგირების შესახებ ინფორმაცია აუდიტის სამსახურმა მოგვანოდა. აუდიტის სამსახური, კი თავის მხრივ, აღნიშნულ ინფორმაციას სამართალდამცავი ორგანოებიდან წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის ბოლოს იღებს, შესაბამისად, ჩვენს კვლევაში მხოლოდ 2013-2014 წლებში გადაგზავნილ მასალებზე რეაგირების შესახებ ფაქტებია მოყვანილი.

1. სამართალდამცავთა რეაგირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2013 და 2014 წლებში სამართალდამცავ ორგანოებს სულ დანაშაულის ნიშნების შემცველი 90 აუდიტის ანგარიში გადაუგზავნა. **90 გადაგზავნილი ანგარიშიდან პროკურატურამ 51 ანგარიშზე შემდგომი რეაგირების შესახებ ინფორმაცია აუდიტის სამსახურს არ მიაწოდა, მიუხედავად იმისა, რომ კანონი „აუდიტის სამსახურის შესახებ“ პირდაპირ ავალდებულებს ამას.** რაც შეეხება მიწოდებულ ინფორმაციას მისი სტატისტიკა ასე განაწილდა:

- მიმდინარეობს შესწავლა - 21 საქმე
- მიმდინარეობს გამოძიება - 11 საქმე
- დაიწყო გამოძიება - 3 საქმე
- გადაგზავნილია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში - 1 საქმე
- მიეცა პასუხისმგებლობაში - 1 პირი (ზუგდიდის #1 სკოლის დირექტორი)

როგორც ჩანს, **90 საქმიდან მხოლოდ ერთი პირი მიეცა პასუხისმგებლობაში**, მაშინ როდესაც გადაგზავნილ აუდიტის მასალებში იკვეთება მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, მათ შორის, სახელმწიფო ქონების გაფლანგვა, კორუფციული გარიგებები, უფლებამოსილების გადამეტება და ა.შ.

2. აუდიტის მიერ გამოვლენილი ძირითადი დარღვევები

2013 წელს აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების მოცულობამ სულ **194 მლნ ლარი შეადგინა**, 2014 წელს კი – 210 მლნ ლარი.

2.1. შესყიდვისას ზედმეტად გადახდილი თანხები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, სატენდერო კომისიები ზოგიერთ შემთხვევაში არაადეკვატურ ქულებს ანიჭებდნენ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს. მაგალითად, **სახელმწიფო დაცვის პოლიციის დეპარტამენტში** (აუდიტის პერიოდი 2010-2012 წწ.) გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ტენდერებში იმარჯვებდნენ მაღალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტები.

სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის შედეგად აღმოჩნდა, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში შესასყიდი საქონლის აღწერისას მითითებული იყო ისეთი პარამეტრები, რომელთა საჭიროება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა და მორგებული იყო კონკრეტული პრეტენდენტის ინტერესებზე, რის გამოც, ტენდერებში მონაწილეობას იღებდა და იმარჯვებდა მხოლოდ თითო კონკურსანტი (სავარაუდოდ წინასწარ განსაზღვრული კომპანიები). შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტმა განიცადა მილიონ ლარზე მეტი ზარალი.

თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებამდე ერთ-ერთ კომპანიას წინასწარ ჰქონდა შესყიდული შემდგომში მერიისათვის მისაწოდებელი სპეციფიკური საქონელი, რაც ნიშნავს, რომ წინასწარ ჰქონდა ინფორმაცია ტენდერის შედეგების შესახებ. გარდა ამისა, მერია გაუმართლებლად დიდი ფასნამატიტ ახორციელებდა გამწვანებასა და განათებასთან დაკავშირებულ შესყიდვებს, რის შედეგადაც, ადგილობრივმა ბიუჯეტმა მილიონობით ლარის ზარალი განიცადა.

2.2. შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო დავალიანების პატიება

საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს გარკვეული საფუძვლების არსებობისას დავალიანების შემცირებას, თუმცა არა - სრულად პატიებას. საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა კომპანიებისთვის საგადასახადო დავალიანების 99%-ით შემცირებას, რის შედეგადაც, სახელმწიფო ბიუჯეტმა მრავალ მილიონიანი ზარალი განიცადა. მაგალითად:

- შპს „ვეგას“ **14 მლნ** ლარის საგადასახადო დავალიანება შეუმცირდა 150 ათას ლარამდე (98.9%-ით) 540 დღიანი გადავადებით.
- შპს „სამი ტუზი - 333“-ს **11 მლნ ლარის** საგადასახადო დავალიანება შეუმცირდა 75 ათას ლარამდე 730 დღიანი (99.3%-ით) გადავადებით.

ორივე კომპანიის საქმიანობის სფერო წარმოადგენს სათამაშო ბიზნესს. იგივე პროცესს ჰქონდა ადგილი 2012 წელს ცალკეულ ტელეკომპანიასთან მიმართებაში:

- „ტელეიმედს“ 13 მლნ ლარის დავალიანება შეუმცირდა 300 ათას ლარამდე (97.8%-ით);
- „რუსთავი 2“-ს 5 მლნ ლარის დავალიანება შეუმცირდა 400 ათას ლარამდე (92.2%);
- „ტელეკომპანია პიკი“-ს 1.5 მლნ ლარის დავალიანება შეუმცირდა 10 ათას ლარამდე (99,3%).

2.3. სახელმწიფო დაცვის დეპარტამენტის მიერ საბიუჯეტო სახსრების უკანონო განკარგვა:

- დეპარტამენტი, სარეკლამო მომსახურების მიღების მოტივით ფაქტობრივად სპონსორობას უწევდა გორის საფეხბურთო კლუბ „დილას“, რომელსაც ეტაპობრივად, სამი წლის განმავლობაში გადაურიცხა **6.9 მლნ ლარი**;
- დეპარტამენტმა იგივე მოტივით **100 ათასი ლარი** გადაურიცხა და ფაქტობრივად დააფინანსა სერიალ „დეტექტივების“ გადაღება;

- დეპარტამენტმა „ლიბერთი ბანკთან“ კანონდარღვევით გააფორმა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მომსახურების განევას 32%-იანი ფასდაკლებით, რითიც მისაღები შემოსავალი შემცირდა 2.2 მლნ ლარით.

2.4. მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯების არამიზნობრივი განკარგვა

საჯარო უწყებების მხრიდან ხშირად დაფინანსებულია ისეთი ხარჯები, რომლებიც შეუსაბამოა სახელმწიფო დაწესებულების მიზნებთან და არ წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრებით ანაზღაურების საგანს:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, 2011 წელს სახელმწიფო დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები მივლინებებით ქვეყნის გარეთ მიემგზავრობდნენ საფეხბურთო და საკალათბურთო მატჩებზე დასასწრებად;
- პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ვერ იქნა განმარტებული რა ტიპის მომსახურება იქნა გაწეული 2011-2013 წლების განმავლობაში ჯამში 438 ათასი ლარის სანაცვლოდ, რომელიც გატარებული იყო როგორც „სხვა ხარჯები“, „დამატებით ხარჯები“, ან „შემთხვევითი ხარჯები“. ასევე, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან რამდენიმე მილიონი ლარი არის დახარჯული საჩუქრებზე, სასტუმროების მომსახურებაზე, მობილურ სატელეფიზიო სადგურსა და სხვა დაუსაბუთებელ ხარჯებზე;
- დაუსაბუთებლად და არამიზნობრივად 285 ათასი ლარი აქვს გახარჯული ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ანაზღაურებულია ისეთი მომსახურებები, როგორიცაა: სპა-სალონი, ბელგიაში ეროტიული მასაჟის დაწესებულებაში სტუმრობა, ლას-ვეგასში სტრიპტიზ ბარში და კაზინოში გაწეული დანახარჯები, კიევში ღამის კლუბში სტუმრობა და ვარდების შეძენა.

III. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის სფერო

სახელმწიფო აუდიტის სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოს, რომელიც ზედამხედველობას უწევს საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას რითიც ხელს უწყობს საბიუჯეტო სახსრების ეფექტურ მართვას. სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ანგარიშვალდებულია მხოლოდ ქვეყნის პარლამენტის წინაშე, მისი დამოუკიდებლობა გამყარებულია კონსტიტუციითა და კანონით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ვრცელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე, სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ 50 პროცენტი და მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე, სხვა იურიდიულ პირებზე, ფიზიკურ პირებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე.

აუდიტის შედეგებზე დგება აუდიტის ანგარიში, რომელიც წარედგინება აუდიტის ობიექტს და საჭიროების შემთხვევაში მის ზემდგომ ორგანოს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები წარედგინება ასევე პარლამენტს, საჯარო სახსრების ხარჯვას პარლამენტი სწორედ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით აკონტროლებს.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ აუდიტის მასალები შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, ის დაუყოვნებლივ ეგზავნება სამართალდამცავ ორგანოებს (პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო). თავის მხრივ, სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აცნობონ წარდგენილ ინფორმაციაზე რეაგირების და განხორციელებული ქმედებების შესახებ.

IV. საინტერესო შემთხვევების მიმოხილვა

ანგარიშის ამ ნაწილში მოკლედ აღწერილია პროკურატურისთვის 2013-2015 წლებში გადაგზავნილი მასალებიდან ჩვენ მიერ ამორჩეული 10 აუდიტის ანგარიში. არჩევისას ვიხელმძღვანელებთ ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: დიდი რაოდენობით გაფლანგული საბიუჯეტო თანხები, საჯარო უწყების იერარქია, დარღვევის სიმძიმე და ხასიათი. ანგარიშები დალაგებულია აუდიტის ჩატარების წლების მიხედვით.

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

აუდიტის ჩატარების წელი: 2013

აუდიტის პერიოდი: 2012 წელი

1.2. აქტივების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები

- აქტივები არ არის შეფასებული, ბალანსზე ასახული და დარეგისტრირებული - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მიერ ბალანსზე აღრიცხული **61 ათასამდე მ² მიწა დაურეგისტრირებულია**;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების სარგებლობაში არსებული დაახლოებით **63 ჰექტარი მიწა შეუფასებელია** და ბალანსზე არ არის აღრიცხული;
- პროფესიული სასწავლებლების საბალანსო ანგარიშზე ასახული 2.3 მლნ ლარის უძრავი ქონება აღარ არის კოლეჯების ფაქტიურ სარგებლობაში;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ბალანსზე აღრიცხული 161 ათასამდე მ² მიწა და 38 ათასამდე მ² შენობა-ნაგებობა აღარ არის მათ ფაქტიურ სარგებლობაში.

1.3. საბიუჯეტო პროცესის მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად რესურსების არამიზნობრივი განკარგვა

- 2012 წლის 31 დეკემბერს 1 მლნ ლარი ირიცხება დებიტორულ დავალიანებად „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის“ მიმართ, რომელზეც სამინისტრომ გასცა გრანტი (სამოქალაქო სექტორის განვითარებისა და ინსტიტუტების დამკვიდრებისთვის), თუმცა სამინისტროსა და ფონდს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული აღნიშნული საგრანტო პროექტების დაფინანსების დეტალური კრიტერიუმები და მონიტორინგის მექანიზმები, შესაბამისად, ვერ დგინდება გაცემული გრანტების მიზნობრიობა.

1.4. შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები

- სახელმწიფო შესყიდვები ორ შემთხვევაში განხორციელდა ხარვეზებით. სამინისტროს უწყებაში სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განხორციელებულია მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც სამინისტროს სარგებლობის უფლება არ ჰქონდა. აღნიშნული მიწის ნაკვეთები ეკუთვნოდა ფიზიკურ პირს და კერძო სამართლის იურიდიულ პირს;

- 2012 წელს განხორციელებული საეთერო დროის შესყიდვების შესწავლისას გამოვლინდა შეუსაბამობა დადებულ ხელშეკრულებებს, მიღება-ჩაბარების აქტებსა და გადახდილ ანაზღაურებას შორის.

სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აუდიტის მასალები 2013 წლის 4 მარტს გადააგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში, სადაც 2013 წლის 30 აპრილს პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცალკეულ თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე.

2. დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

აუდიტის ჩატარების წელი: 2013

აუდიტის პერიოდი: 2010-2012

2.1. აქტივების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები

- დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა 2010, 2011 და 2012 წლებში შპს „ნიუ ენერჯის“ გაუნია დაცვის მომსახურება რომლის საფასურიც შესაბამისად იყო 241.3 ათასი, 682.6 ათასი და 812.0 ათასი ლარი. დავალიანების არსებობის მიუხედავად დეპარტამენტი აგრძელებდა შპს „ნიუ ენერჯისათვის“ მომსახურების გაწევას. 2012 წლის დეკემბრიდან შპს „ნიუენერჯი“ გადასულია გადახდის უნარობის (გაკოტრების) საქმის წარმოების რეჟიმში და თანხების ამოღების პერსპექტივა პრაქტიკულად აღარ არსებობს. შედეგად დეპარტამენტზე მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 1.7 მლნ ლარი.
- დეპარტამენტის მიერ არაგაბარირებულ და ზენორმატიული ტვირთების დაცვა-გაცილების მომსახურების დროს ცალკეულ ფირმებთან ხდებოდა ხელშეკრულების დადება განსხვავებული წესით, რომლის შედეგად 2010-2012 წლების განმავლობაში დეპარტამენტის შემოსავლები ჯამურად შემცირებულია დაახლოებით 2.07 მლნ ლარით.

2.2. შესყიდვების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი განკარგვა

- 2011 წლის 18 ნოემბერს დეპარტამენტმა გორის მუნიციპალიტეტის თ. ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბ „გორის დილასთან“ გამართივებული შესყიდვის საშუალებით გააფორმა ხელშეკრულება სარეკლამო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე. 2011 წლის 20 დეკემბერს დეპარტამენტსა და იმავე გორის საფეხბურთო კლუბ „გორის დილას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება სპონსორობის შესახებ. გარდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებისა, დეპარტამენტსა და გორის საფეხბურთო კლუბ „გორის დილას“ შორის წლის განმავლობაში გაფორმდა კიდევ სამი ხელშეკრულება სპონსორობასთან დაკავშირებით. ყველა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება დაიდო კანონდარღვევით (ელექტრონული ტენდერების გარეშე). სამივე ხელშეკრულების შინაარსი, პირობები და ვადები იდენტურია თავდაპირველი ხელშეკრულებისა.

შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რა დამატებითი მომსახურების გაწევას ისახავდა მიზნად ამ ხელშეკრულებების გაფორმება. წლის განმავლობაში **დეპარტამენტის მიერ საფეხბურთო კლუბ „გორის დილას“ ანგარიშზე საკუთარი სახსრებიდან ეტაპობრივად გადარიცხულია ჯამურად 6.9 მლნ ლარი.** დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული რეკლამაში აღნიშნული სახით ჩადებული ინვესტიციიდან მიღებული ფინანსური თუ სხვა სახის დადებითი შედეგი. დეპარტამენტის მიერ გორის რაიონიდან მიღებული შემოსავლების ანალიზით (2010 წელი - 479.4 ათასი ლარი, 2011 წელი - 604.0 ათასი ლარი, 2012 წელი - 807.7 ათასი ლარი) დასტურდება, რომ გადახდილი ფასი არააადეკვატურია შესყიდული მომსახურების რეალურ ღირებულებასთან შედარებით. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, არ არის წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში კანონმდებლობით განსაზღვრული საბანკო გარანტიები. ავანსად გადარიცხვების შედეგად წარმოშობილი მოთხოვნების ჩამოწერა წარმოებდა ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით, რომლებსაც არ ახლავს მტკიცებულებები თუ სად, როდის და რა სახის სარეკლამო მომსახურებები განხორციელდა. საფეხბურთო კლუბ „გორის დილას“ სპონსორობის გზით თითქმის 7 მლნ ლარის „რეკლამაში ინვესტიციის“ შემდეგ დეპარტამენტის კლიენტების რაოდენობა გორის რაიონში მხოლოდ 38 ერთეულით გაიზარდა, რომლიდანაც მიღებულმა შემოსავლებმა 2012 წლის განმავლობაში შეადგინა მხოლოდ 69.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საფეხბურთო კლუბის დაფინანსების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღება არ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის კომპეტენციას. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, დეპარტამენტის მიერ **კანონდარღვევით გახარჯულია 6.9 მლნ ლარი.**

- 2010 წლის 21 დეკემბერს დეპარტამენტსა და შპს „ბრენდჰაუსს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება **სატელევიზიო სერიალ „დეტექტივების“ სპონსორობის** შესახებ ღირებულებით - 100 ათასი ლარი. ხელშეკრულება **გაფორმებულია შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გარეშე.** ხელშეკრულებაში განმარტებულია ზოგადად მხოლოდ ის, რომ კომპანიისთვის თანხის გადახდის სანაცვლოდ დეპარტამენტს მიენიჭება სპონსორის სტატუსი და დაკონკრეტებული არ არის თუ სად, როგორი ფორმით და რა დროის განმავლობაში განხორციელდებოდა რეკლამირება. ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე დღესვე შპს „ბრენდჰაუსის“ მიერ წარმოდგენილი იქნა ანგარიშ-ფაქტურა, რომლის მიხედვითაც სარეკლამო მომსახურება განეულად ჩაითვა და ორი დღის შემდეგ დეპარტამენტმა საკუთარი სახსრებიდან გადაუხადა 100 ათასი ლარი. დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები განეულ მომსახურებასთან დაკავშირებით და ვერ იქნა დასაბუთებული რეკლამაში აღნიშნული სახით ჩადებული ინვესტიციიდან მიღებული ფინანსური შედეგი. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე **დეპარტამენტმა ფაქტობრივად განახორციელა კომპანიის დაფინანსება და არა სარეკლამო მომსახურების შესყიდვა, რის შედეგადაც კანონდარღვევით გახარჯა 100 ათასი ლარი.**

2.3. საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული სხვა ხარვეზები

- დეპარტამენტმა სს „ლიბერთი ბანკთან“ გააუქმა ყველა ხელშეკრულება დაცვითი მომსახურების თაობაზე და **კანონდარღვევით, 32%-იანი ფასდაკლებით, გააფორმა მომსახურების ახალი ხელშეკრულება.** რის შედეგადაც, მისაღები შემოსავლები შემცირდა **2.2 მლნ ლარით.** ხელშეკრულების საფუძველზე ბანკმა დეპარტამენტს წინასწარ ჩაურიცხა მომსახურების 5 წლის თანხა 4.9 მლნ ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნული შეთანხმება

შინაარსობრივად წარმოადგენს გრძელვადიან სასესხო ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმდა კანონდარღვევით.

2.4. შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად ზედმეტად გადახდილი სახსრები

- დეპარტამენტის მიერ დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის და უნიფორმის შესაძენად ჩატარებული ტენდერების შემონმებით გაირკვა, რომ **სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტებზე არაადეკვატური ქულების მინიჭებით**, ასევე შეფასების კრიტერიუმების კანონდარღვევით შეცვლის შედეგად **იმარჯვებდნენ უფრო მაღალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტები** (ძირითადად შპს „ალპა“, შპს „ნეოტექი“, შპს „სატახა“). დეპარტამენტი გაურკვეველი მიზეზების გამო ავტომატურად შესყიდვას აწარმოებდა არაიმპორტიორი შუამავლის შპს „ქარ რეთ ენდ თრეიდიგ კომპანის“ საშუალებით, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე შპს „ტოიოტა ცენტრისგან“ და სხვა კომპანიებისგან ყიდულობდა და შემდეგ გაზრდილი ფასებით ყიდდა ავტომატურად დაცვის პოლიციის დეპარტამენტზე. სახელმწიფო შესყიდვების კანონდარღვევით განხორციელების შედეგად **დეპარტამენტზე მიყენებულმა ზარალმა შეადგინა ჯამურად 626 ათასი ლარი.**

2.5. საბიუჯეტო პროცესის მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი განკარგვა

- მივლინებების შემონმების შედეგად გაჩნდა გონივრული ეჭვი, რომ აუდიტის პერიოდში ქვეყნის გარეთ დეპარტამენტის სხვადასხვა ხელმძღვანელი პირები მიემგზავრებოდნენ **საფეხბურთო და საკალათბურთო მატჩებზე დასასწრებად**; ასევე სხვა არასამსახურებრივი მიზნით. მაგალითად, 2011 წლის 8-დან 12 სექტემბრამდე ხელმძღვანელი პირები იმყოფებოდნენ ვილნიუსში, სადაც იმართებოდა კალათბურთში საქართველოს ნაკრების მონაწილეობით მატჩები ევროპის ჩემპიონატზე;

სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აუდიტის მასალები 2013 წლის 13 ივნისს, პროკურატურის მოთხოვნით, გადააგზავნა მთავარ პროკურატურაში. პროკურატურამ, კანონით განსაზღვრული ვალდებულების მიუხედავად, გადაგზავნილ მასალებზე შემდგომი რეაგირების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ინფორმაცია არ მიაწოდა.

3. თბილისის მერია - გარე განათების პროგრამა

აუდიტის ჩატარების წელი: 2013

აუდიტის პერიოდი: 2006-2010 წლები

3.1. შესყიდვების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიური განკარგვა

- აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ თბილისის მერიამ 25-დან 40%-მდე ფასნამატი მიიღო სანათები. მომწოდებლების მიერ გადახდილ სანათების საბაჟო ღირებულებასა და მერიის მიერ მომწოდებლებისათვის გადახდილ თანხას შორის სხვაობამ 2.38 მლნ ლარს გადააჭარბა.
- სატელევიზიო ანძის განათებისათვის მერიის მიერ გადახდილ თანხასა და მიმწოდებლის მიერ გადახდილ საქონლის საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობა დაახლოებით 2.7 მლნ ლარია (ფასნამატი საბაჟო ღირებულებაზე შეადგენს 107%-ს).

3.2. შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები

- 2006 წლის ივლისში თბილისის მერიამ ტენდერის საშუალებით შეისყიდა 376.6 ათასი ლარის სანათი მოწყობილობა. აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ შესყიდვის ოფიციალურად განხორციელებამდე, ტენდერის გამოცხადებამდე, თებერვალსა და ივნისში სანათები მერიას ერთ-ერთმა მიმწოდებელმა გაუგზავნა, ხოლო შემდეგ მერიამ აღნიშნული სანათები საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებს გადასცა.

3.3. შესყიდვების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი განკარგვა

- 2009 წელს მერიის მიერ შესყიდულ იქნა უხარისხო სანათები, მიუხედავად იმისა, რომ ეს უწყება ფლობდა ინფორმაციას მათი დაბალი ხარისხისა და შეუსაბამო ტექნიკური მახასიათებლების შესახებ.
- მერიის მიერ ელექტრო ენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული ელექტრო ენერგიის ხარისხი, რის გამოც, 2006-2010 წლებში დაახლოებით 1.2 მლნ ლარზე მეტი ღირებულების ნათურა გადაიწვა და სახელმწიფომ აღნიშნული თანხა იზარალა.

სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აუდიტის მასალები 2013 წლის 13 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულ სააგენტოში გადააგზავნა, სადაც მიმდინარეობს მოკვლევა.

4. თბილისის მერია - ქალაქის გამწვანების ღონისძიებები

აუდიტის ჩატარების წელი: 2013

აუდიტის პერიოდი: 2009-2011 წლები

4.1. შესყიდვების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი განკარგვა

- მერიამ ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი აქტივების დანიშნულებისამებრ გამოყენება - 2008 წელს ჯორჯ ბუშის ქუჩიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე გზის გამყოფი ზოლების სარწყავი სისტემის მოწყობისათვის გაწეულ იქნა 3.2 მლნ ლარის ხარჯი, თუმცა განაპირა ზოლებზე სარწყავი სისტემა აუდიტის პერიოდში არ ფუნქციონირებდა.

- დიდმის ტყე-პარკისა და ტექსელის სახელობის სკვერში სარწყავი სისტემის მოწყობის საქმიანობისთვის გათვალისწინებული იყო 458.1 ათასი ლარის სამუშაოები. შესრულებული და ანაზღაურებულია სამუშაოების მხოლოდ მცირე ნაწილი. შესრულებული სამუშაოების გამო კი სისტემა არ ამუშავებულა.

4.2. აქტივების არაეფექტიანი განკარგვა

- შემსყიდველის მიერ არ ხდებოდა ძვირადღირებული საქონლის მრავალჯერადად გამოყენება - 2009 წელს თბილისის მერიამ შეისყიდა 285 ათასი ლარის ღირებულების საყვავილე კონსტრუქციები და საახალწლო დეკორაციები. კონსტრუქციების მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობის მიუხედავად, ისინი გამოყენებულია მხოლოდ ერთჯერადად 2009 წელს.

სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გარე განათების პროგრამის აუდიტის მასალებთან ერთად აუდიტის ანგარიში 2013 წლის 13 დეკემბერს გადაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულ სააგენტოს, სადაც მიმდინარეობს მოკვლევა.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური

აუდიტის ჩატარების წელი: 2014

აუდიტის პერიოდი: 2012-2013 წლები

5.1. შესყიდვისას ზედმეტად გადახდილი თანხები და არაგონივრული სატენდერო მოთხოვნები

- 2012 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ტენდერებით განხორციელებისას შემოსავლების სამსახურის მხრიდან ადგილი ჰქონდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად (გაზრდილად) განსაზღვრის შემთხვევებს. ასევე სატენდერო დოკუმენტაციაში შესასყიდი საქონლის აღწერისას მითითებული იყო ისეთი პარამეტრები, რომელთა საჭიროება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა და მორგებული იყო კონკრეტული პრეტენდენტის ინტერესებზე, რის შედეგადაც, ტენდერებში მონაწილეობას იღებდა და იმარჯვებდა მხოლოდ თითო პრეტენდენტი (სავარაუდოდ წინასწარ განსაზღვრული კომპანიები), რომლებიც არ წარმოადგენდნენ მიწოდებული საქონლის არც მწარმოებლებს და არც იმპორტიორებს. არასწორად განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ამ კომპანიებს საშუალებას აძლევდა ადგილობრივ ბაზარზე არააუცილებელი (არასაჭირო) შუამავლობის გზით ხელოვნურად გაეზარდათ საბაზრო ფასები. ფასების გაზრდის საშუალება ეძლეოდათ, ასევე, ცალკეულ იმპორტიორ კომპანიებსაც, რომლებიც არაგონივრულად მაღალი ფასსამატებით აწვდიდნენ საქონელს შემოსავლების სამსახურს;
- სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას ელექტრონული ტენდერების გამოცხადებისას შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად (გაზრდილად) განსაზღვრის შედეგად კომპანიებს საშუალება ეძლეოდათ მიღება-ჩაბარების აქტებში რეალურ საბაზრო ფასებთან შედარებით გაზრდილად წარმოედგინათ პირდაპირი ხარჯები (მასალების, შრომის და მანქანა-მექანიზმების ღირებულებები). ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში დანარიცხები (ზედნაღები ხარჯები, გეგმური მოგება) წარმოდგენილია კანონმდებლობის დარღვევით

გაზრდილი განაკვეთებით. კერძოდ, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე შემოსავლების სამსახურსა და სს „მონოლითშენს“ შორის ნინოწმინდის ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2012 წლის 1 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 9.8 მლნ ლარი. რეალურ საბაზრო ფასებთან შედარებით მიღება-ჩაბარების აქტებში **სამუშაოთა ღირებულებები გაზრდილია 1.59 მლნ ლარით.**

- 2012 წლის 7 აგვისტოს შემოსავლების სამსახურის გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში ლაგოდეხის საბაჟო გამშვები პუნქტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ალიანსი“, რომელთანაც 2012 წლის 13 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 6.3 მლნ ლარი. ტენდერის მიმდინარეობისას სატენდერო დოკუმენტაციით ისეთი პარამეტრების მოთხოვნის გამო რომელთა საჭიროება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, დისკვალიფიცირებული იქნა კომპანია, რომელსაც წარმოდგენილი ჰქონდა ბევრად უფრო დაბალი სატენდერო წინადადების ფასი. აღნიშნულის შედეგად (ასევე შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად განსაზღვრის გამო), **არაეკონომიურად გახარჯულია 475 ათასი ლარი. გარდა ამისა, შპს „ალიანსი“ წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში სამუშაოთა ღირებულებები გაზრდილი აქვს 736 ათასი ლარით.**
- საბაჟო-გამშვები პუნქტის „ყაზბეგი“ სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2012 წლის 19 აპრილს შემოსავლების სამსახურსა და შპს „ფერს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 9.9 მლნ ლარი. მიღება-ჩაბარების აქტებში **სამუშაოთა ღირებულებები გაზრდილია 531.5 ათასი ლარით.**
- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის განკარგულებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სტაციონალური რენტგენოსკანერების შესყიდვის მიზნით კომპანია „NUCTECH Company Limited“-თან გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმდა ორი ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზე უნდა მომხდარიყო რენტგენული შემოწმების სისტემის მიწოდება ყაზბეგის საბაჟო გამშვებ პუნქტზე (ხელშეკრულების ღირებულება - 4.1 მლნ ლარი) და წითელი ხიდის საბაჟო გამშვებ პუნქტზე (ხელშეკრულების ღირებულება - 3.3 მლნ ლარი). ორივე სტაციონალური რენტგენოსკანერი იდენტური იყო. **გაირკვა, რომ ყველა თანმდევი ხარჯების გათვალისწინებით, ყაზბეგის საბაჟო გამშვებ პუნქტზე დამონტაჟებულ რენტგენოსკანერში გადახდილია 342.3 ათასი ლარით მეტი, ვიდრე წითელი ხიდის საბაჟო გამშვებ პუნქტზე დამონტაჟებულში.**

5.2. საგადასახო დავალიანების დაუსაბუთებელი პატიება

- საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ საგადასახადო შეთანხმებები გაფორმებულია და დასაბუთების გარეშე და ისეთ ორგანიზაციებთან, რომელთა საქმიანობის სფერო არ მიეკუთვნება სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგებს და გაურკვეველია მათთვის ბიუჯეტების წინაშე ვალდებულებების შემცირების მოტივი. აღსანიშნავია ასევე, რომ **საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია გადასახადის გადამხდელებისთვის დავალიანების შემცირება და არა სრულად პატიება.** როდესაც ვალდებულების შემცირება ხდება 99%-ით, ეს ფაქტობრივად წარმოადგენს ვალდებულების პატიებას და არა შემცირებას. მაგალითად:
 - შემოსავლების სამსახურის მიერ ფინანსთა მინისტრის საშუალებით წარდგენის შემდგომ პრემიერმინისტრის მიერ გამოცემული 2012 წლის 12 აპრილის ბრძანების საფუძველზე, საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა შპს „ვეგასთან“, რომელსაც

ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება ჯამურად 14 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება მას შეუმცირდა 150 ათას ლარამდე (98.9%-იანი კლება) 540 დღიანი გადავადებით;

- პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 14 ივნისის ბრძანების საფუძველზე, საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა შპს „სამი ტუზი-333-თან“, რომელსაც ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება ჯამურად 11 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება მას შეუმცირდა 75 ათას ლარამდე (99.3%-იანი კლება) 730 დღიანი გადავადებით;
- განხორციელებულია ასევე ცალკეული ტელეკომპანიებისთვის დავალიანებების თითქოსდა შემცირება, მაგრამ ფაქტობრივად პატიება. კერძოდ, პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 20 აგვისტოს და 12 ოქტომბრის ბრძანებების საფუძველზე, საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა შპს „ტელეიმედთან“, რომელსაც ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება ჯამურად 13 მლნ ლარის ოდენობით. ტელეკომპანიას დავალიანება შეუმცირდა 300 ათას ლარამდე (97.8%-იანი კლება). ხოლო 2012 წლის 20 აგვისტოს და 12 ოქტომბრის ბრძანებების საფუძველზე, საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა შპს „სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2-თან“, რომელსაც ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება 5 მლნ ლარის ოდენობით. დავალიანება მას შეუმცირდა 400 ათას ლარამდე (92.4%-იანი კლება). გარდა ამისა, 2012 წლის 16 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე, საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა შპს „ტელეკომპანია პიკთან“, რომელსაც ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება ჯამურად 1,5 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება მას შეუმცირდა 10 ათას ლარამდე (99.3%-იანი კლება).

სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აუდიტის მასალები 2014 წლის 12 თებერვალს გადააგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში. პროკურატურამ, კანონით განსაზღვრული ვალდებულების მიუხედავად, გადაგზავნილ მასალებზე შემდგომი რეაგირების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ინფორმაცია არ მიაწოდა.

6. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

აუდიტის ჩატარების წელი: 2014

აუდიტის პერიოდი: 2011-2013 წლები

- წარმოდგენილი სამივლინებო ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციით გაირკვა, რომ ხშირ შემთხვევებში ფაქტობრივ ხარჯად აღიარებულია ისეთი დანახარჯები, როგორიცაა „სხვა ხარჯები“, „დამატებითი ხარჯები“, „შემთხვევითი ხარჯები“, რაც ჯამში შეადგენს 438.7 ათას ლარს. ადმინისტრაციის მიერ ვერ იქნა განმარტებული თუ რა ტიპის მომსახურების გაწევას შეიცავდა ზემოაღნიშნული გაუშიფრავი ხარჯები;
- 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში უცხოელი სტუმრების საქართველოში ვიზიტებისას ქალაქ ბათუმში საქართველოს პრეზიდენტის სასტუმროების

„რედისონი“ და „შერატონი“ მომსახურებით უზრუნველყოფისათვის ყოველგვარი დეტალური ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის გარეშე ანაზღაურებულია **111.1 ათასი ლარი**. ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება, თუ რა ვიზიტებისა და შეხვედრებისას განხორციელდა ბათუმში პრეზიდენტის სასტუმრო მომსახურება;

- საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებების შესაბამისად, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საჭირო მობილური სატელეფონო სადგურისა და 4 ცალი მონიტორის შესასყიდად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო დაახლოებით **2 მლნ ლარი**. აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი 2011-2013 წლებში მოძრავი სატელეფონო სადგურისა და მონიტორების გამოყენებისა და შესაბამისად მომსახურების ფასში ასახვის შესახებ მონაცემები;
- 2011-2013 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან და ადმინისტრაციის ასიგნებებიდან გამოყოფილი ფინანსური სახსრებიდან წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით შესყიდული და გაცემულია სულ 3.8 მლნ ლარის სხვადასხვა დასახელების საჩუქარი. კერძოდ, ამ პერიოდში საჩუქრებისა და ადგილზე მოხმარების მიზნით სულ შესყიდულია 930.3 ათასი ლარის ალკოჰოლური სასმელები, 2.1 მლნ ლარის კომპიუტერული ტექნიკა, 205.5 ათასი ლარის ტელეფონები, 196.5 ათასი ლარის ოქროს სამკაულები, 121.1 ათასი ლარის საათები და 176.3 ათასი ლარის სხვადასხვა სახის სუვენირი. 2011-2013 წლებში შესყიდული 930.3 ათასი ლარის ღირებულების ალკოჰოლური სასმელებიდან 266.7 ათასი ლარის სასმელები ადგილზე მოხმარების მიზნით საწყობიდან გაცემულია პრეზიდენტის სამდივნოს უფროსზე ე.წ. „სპეც. საწყობში“. კონკრეტულად თუ როდის და რა სახის ღონისძიებებზე იქნა მოხმარებული აღნიშნული სასმელები წარმოდგენილი მასალებით ვერ დგინდება. ფიზიკურ პირებზე საჩუქრების სახით გადაცემულ 1.4 მლნ ლარის ქონებაზე, საგადასახადო კოდექსის 154 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციის მიერ ქონების საჩუქრად გადაცემის დროს საშემოსავლო გადასახადის დაკავება და ბიუჯეტში გადარიცხვა არ განხორციელებულა. მიღებული შემოსავლებიდან გამომდინარე კი დარიცხვასა და ბიუჯეტში გადარიცხვას ექვემდებარებოდა 342.6 ათასი ლარი;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საკონსულტაციო მომსახურების შეძენის, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და შესაბამისი წინადადებების შემუშავებისათვის 2012-2013 წლებში გახარჯული იქნა 1.2 მლნ ლარი. ვერ იქნა წარმოდგენილი ერთ ქართულ და სამ უცხოურ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისა და შემაჯამებელი ანგარიშების წარმოდგენის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.

სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აუდიტის მასალები 2014 წლის 19 სექტემბერს გადააგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში. პროკურატურამ, კანონით განსაზღვრული ვალდებულების მიუხედავად, გადაგზავნილ მასალებზე შემდგომი რეაგირების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ინფორმაცია არ მიაწოდა.

6. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

აუდიტის ჩატარების წელი: 2014

აუდიტის პერიოდი: 2011-2012 წლები

6.1. მივლინებებისას საბიუჯეტო რესურსების დაუსაბუთებელი, არამიზნობრივი, და არაეკონომიური განკარგვა

- მივლინების დროს „მივლინების“ და „წარმომადგენლობითი ხარჯების“ ქვემუხლებით ზოგიერთ თანამშრომელზე აპარატის მხრიდან დაფინანსებულია ისეთი ხარჯები, რომელიც შეუსაბამოა სახელმწიფო დაწესებულების მიზნებთან და არ წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრებით ანაზღაურების საგანს, ჯამში **დაუსაბუთებლად და არამიზნობრივად გახარჯულია 285.7 ათასი ლარი**. კერძოდ:
 - გარკვეულ შემთხვევებში მივლინებული პირებისათვის ანაზღაურებულია მათ მიერ წარმოდგენილ ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციაზე მეტი თანხა. ჯამში არამიზნობრივმა ხარჯმა შეადგინა 25 ათასი ლარი თანხა;
 - სახელმწიფო მინისტრის მივლინებისას ზოგიერთ შემთხვევაში აპარატის მიერ ანაზღაურებულია ისეთი ტიპის ხარჯები, როგორიცაა, მასაჟი, სპა-სალონი, გამაჯანსაღებელი ცენტრი და სხვა ხარჯები, რომლებიც არ წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურების საგანს;
 - 2011 წლის 25 ნოემბერს და 2012 წლის 10 მაისს, ბელგიაში სახელმწიფო მინისტრის მივლინებისას ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში ფიგურირებს ქ. ბრიუსელში (ბლანკესტრაატის ქ.N14) მდებარე **ეროტიული მასაჟის დაწესებულება INTERDIT-ში** გახარჯული თანხები სულ 2.9 ათასი ლარის ოდენობით;
 - ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ლას-ვეგასში მდებარე **სტრიპტიზ-ბარში Leg Foot** სახელმწიფო მინისტრის მიერ გახარჯულია და აპარატის მიერ ანაზღაურებულია 1.5 ათასი ლარი (874 ამერიკული დოლარი), როგორც მივლინებასთან დაკავშირებული წარმომადგენლობითი ხარჯი. თანხის ანაზღაურების საფუძვლად წარმოდგენილია მხოლოდ გადახდის დამადასტურებელი ჩეკი. არაა წარმოდგენილი დეტალური მომსახურების ამსახველი ქვითარი და უცნობია ბარის მიერ რა სახის მომსახურება იქნა მოწოდებული;
 - წარმომადგენლობითი ხარჯების ანალიზით ვლინდება, რომ ბიუჯეტიდან დახარჯულ **120.5 ათას ლარზე ვერ დასტურდება ხარჯების განვცის საფუძვლიანობა** და მიზნობრიობა, რადგანაც არც ერთ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი მივლინებებისას განხორციელებული შეხვედრებისა და იქ მიწვეული სტუმრების სია. მაგალითისათვის:
 - 2012 წლის 4 იანვარს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალაქ ლას-ვეგასში სახელმწიფო მინისტრის მივლინების დროს სამივლინებო თანხებიდან გახარჯულია **კაზინო „MGM GRAND“-ში** წარმომადგენლობითი ხარჯის სახით 1.8 ათასი ლარი;
 - უკრაინის დედაქალაქ კიევში მივლინებისას (სახელმწიფო მინისტრი), 2012 წლის 4 თებერვალს **ლამის ბარ Just Cafe-ში** გადახდილია სულ 1.9 ათასი

ლარი, მათ შორის, ქვითრის მიხედვით, **4 გოგონას შეყვანის ღირებულება** ასი ლარი და **9 ცალი წითელი ვარდის შეძენა (04:30 საათზე)** - ასი ლარი.

- საზღვარგარეთ მივლინებების დროს სახელმწიფო მინისტრის დაცვის ღონისძიებებზე აპარატმა სახელმწიფო სახსრებიდან გახარჯა 137.8 ათასი ლარი, მაგრამ ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა თანამდებობის პირისათვის დაცვის გამოყოფის კანონიერი საფუძველი.

6.2. თანამდებობის პირებზე კანონდარღვევით გაცემული პრემიები

- აპარატის ასიგნებებიდან სახელმწიფო მინისტრებმა (გიორგი ბარამიძემ და შემდეგ თორნიკე გორდაძემ), საკუთარი ბრძანებების საფუძველზე, საკუთარ თავზე გასცეს პრემიები სულ **115.3 ათასი ლარის** ოდენობით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მთავრობის წევრის მიმართ წახალისების სხვადასხვა ფორმის, მათ შორის პრემირების გამოყენების უფლება, აქვს საქართველოს პრემიერმინისტრს, შესაბამისად, **საკუთარი ბრძანებით, სახელმწიფო მინისტრისათვის ფულადი სახით გაცემული წახალისების ფორმა, გამოყენებულია კანონმდებლობის დარღვევით.**

სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აუდიტის მასალები 2014 წლის 6 აპრილს გადააგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში. პროკურატურის განცხადებით მასალებზე დაწყებულია გამოძიება.

7. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აუდიტის ჩატარების წელი: 2015

აუდიტის პერიოდი: 2012 - 2013 წლები

7.1. აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები

- ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ერთი ნაწილი უნივერსიტეტის მფლობელობაშია კონკრეტული სამართლებრივი უფლებით (საკუთრების და სარგებლობის), ხოლო მეორე ნაწილი საბალანსო ღირებულებით დაახლოებით 10 მლნ ლარი „დამაგრებულია“ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე.

7.2. აქტივების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები

- მოიჭარებების მიერ საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დარღვევით, ხოლო უნივერსიტეტის მხრიდან არ ხდებოდა ვადაგადაცილებულ დღეებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმის დარიცხვა.

7.3. ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები

- აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე ზეგანაკვეთური სამუშაოს და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციის შესრულებისთვის სახელფასო დანამატის (986.3 ათასი ლარი) და პრემიის (325.9 ათასი

ლარი) გაცემის მატერიალური მტკიცებულებები, შესაბამისად, არ დასტურდება ზედმეტად გაცემული თანხის საფუძვლიანობა და შეუძლებელია დადგინდეს, რამდენად მართლზომიერად არის გაცემული ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე სახელფასო დანამატი და პრემია. აკადემიური პერსონალის მიხედვით, სახელფასო დანამატის გაცემა ხდებოდა მატერიალური სამართლებრივი საფუძვლების გარეშე. ამასთანავე, აუდიტის პერიოდში აკადემიური პერსონალის სახელფასო დანამატების გაცემისას ადგილი ჰქონდა არაერთგვაროვან მიდგომას;

- სასწავლებელი არ ახდენს შრომის ბაზრის კვლევასა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზს, რასაც უნდა დაეფუძნოს ფაკულტეტების პრიორიტეტულობისა და თითოეული ფაკულტეტის მიხედვით მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრა;
- სასწავლო პროგრამების კურიკულუმების და სილაბუსების შერჩევითი შესწავლით გამოვლინდა შემდეგი გარემოება: ხშირ შემთხვევებში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები არის მოძველებული, ხოლო მისი ავტორი და საგნის ლექტორი წარმოადგენს ერთსა და იმავე პიროვნებას. უნივერსიტეტის მიერ არ განხორციელებულა შედარებითი ანალიზი კონკურენტ უნივერსიტეტებთან მიმართებით. მათ შორის, შეთავაზებული სასწავლო პროგრამების ანალიზი, სწავლების მეთოდები და სახელმძღვანელო ლიტერატურის აქტუალობა, ძლიერი და სუსტი მხარეები კონკურენტებთან მიმართებაში, მოზიდული კონტიგენტის მიხედვით საბაზრო წილი და ა.შ.

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

აუდიტის ჩატარების წელი: 2015

აუდიტის პერიოდი: 2012-2013 წლები

- 2012 წლის განმავლობაში პორტალ „ცაზბეგის“ (საბაჟო-გამშვები პუნქტი), ჩიქოვანის ქ. N2–ში მდებარე ოფისის პორტალ „ნინოწმინდას“ (საბაჟო-გამშვები პუნქტი) და პორტალ „სარფის“ (საბაჟო-გამშვები პუნქტი) სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულების ხელოვნურად გაზრდის შედეგად, ზედმეტად გადახდილია 2.3 მლნ ლარი.

9. სამეგრელოს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია

აუდიტის ჩატარების წელი: 2015 წელი

აუდიტის პერიოდი: 2011-2013 წლები

- საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 27 ივლისის განკარგულებით, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 19 სექტემბერს ქალაქ ლაზიკაში დაგეგმილი ღონისძიების უზრუნველსაყოფად გუბერნატორის ადმინისტრაციას გამოეყო 600 ათასი ლარი. 18 სექტემბერს აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ლაზიკაში 43,618 მგზავრის გადაყვანაზე გაფორმდა 10 ხელშეკრულება, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 294.8 ათასი ლარი. ხოლო საგემო ღონისძიების ორგანიზებისთვის შპს „არტ ბათუმთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებამ 229.2 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიება იმავე დღეს (18 სექტემბერს) გაუქმდა, მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებისათვის მიმწოდებლებზე ანაზღაურებულია 207.9 ათასი ლარი;
- 2012 წლის 15 ივნისს გუბერნატორის ადმინისტრაციას ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან სოციალური მიზნებისთვის უსასყიდლოდ გადაცემული აქვს

სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული 131 დასახელების 296.7 ათასი ლარის ქონება. აღნიშნული ქონება ორი წლისა და ექვსი თვის განმავლობაში გაურკვეველი მიზეზების გამო ინახება სს „ცეკავშირის ზუგდიდის სასურსათო კომბინატში“ იჯარით აღებულ ფართში.